

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
ოფიციალური ვებ-გვერდის (www.economy.gov.ge) საინფორმაციო
გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი
მონიტორინგი

2011 წლის 03 ოქტომბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge



საქართველოს


ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო


www.economy.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით



■ www.economy.gov.ge
გამჭვირვალობის
ხარისხი



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის კომპეტენციის აღწერა;

ამასთან, მინისტრის სამუშაო ელ.ფოსტის მისამართი იდენტურია ზოგადად სამინისტროს ელ.ფოსტის მისამართისა, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამუშაო ელ.ფოსტის მისამართი:



კონტაქტი ინფორმაცია

ტელეფონი: +(995 32) 99 10 88

ფაქსი: +(995 32) 92 18 45

ელ.ფოსტა: ministry@economy.ge

მისამართი: 0108 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის

ქ. #12

ინილეთ დეპარტამენტების კონტაქტები

2. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინისტრს ჰყავს ხუთი მოადგილე, მათ შორის, ერთი პირველი. განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „ადმინისტრაცია“ მოყვანილია ინფორმაცია ოთხი მოადგილის შესახებ. ინფორმაცია მინისტრის მეხუთე მოადგილის შესახებ ვებ-გვერდზე არ მოიძიება. შესაბამისად, სასურველია ქვე-განყოფილებას დაემატოს ინფორმაცია მინისტრის მეხუთე მოადგილის შესახებ, რომლის ბმულზეც გადასვლისას, იმ შემთხვევაში, თუ თანამდებობა ვაკანტურია მოყვანილი იქნება

შემდეგი ინფორმაცია: „თანამდებობა დაკავებული არ არის“, „მოადგილე ჯერ არ დანიშნულა“ ან *მისთ.*

ხსენებულ ქვე-განყოფილებაში აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს მინისტრის ყველა მოადგილის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე არ მოიძიება მინისტრის ორი მოადგილის ფოტოსურათი:

მინისტრის მოადგილეები



არჩილ კეკელია

მინისტრის პირველი მოადგილე

✉ archil.kekelia@economy.ge

☎ +(995 32) 99 11 34

☎ +(995 32) 99 10 30



გიორგი კარბელაშვილი

მინისტრის მოადგილე

✉ karbelashvili@economy.ge

☎ +(995 32) 99 10 82

დავით გიორგაძე

მინისტრის მოადგილე

✉ dgiorgadze@economy.ge

☎ +(995 32) 99 10 80

ირაკლი მატკავა

მინისტრის მოადგილე

✉ i.matkava@economy.ge

☎ +(995 32) 99 10 81

3. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სამინისტროს ერთიანი სისტემის სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს ცენტრალური აპარატის უკლებლივ ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები, საფოსტო მისამართები, შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი რუკები და ფაქსის ნომრები) და სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი:

ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი

ლალი ლოდომერიძე llali@economy.ge
დეპარტამენტის უფროსი **+ (995 32) 2 99 11 14**

კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი

ირაკლი ქაშიბაძე ikashibadze@economy.ge
დეპარტამენტის უფროსი **+ (995 32) 2 99 11 15**

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

თეა ბოლქვაძე tbolkvadze@economy.ge
დეპარტამენტის უფროსი **+ (995 32) 2 99 11 21**

საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი

მიხეილ ჯანელიძე mjanelidze@economy.ge
დეპარტამენტის უფროსი **+ (995 32) 2 99 11 17**

შიდა აუდიტის დეპარტამენტი

ბეგლარ კაპანაძე bkapanadze@economy.ge
დეპარტამენტის უფროსი **+ (995 32) 2 99 10 75**

პრივატიზების დეპარტამენტი

გიორგი ზოდელი khodeli@economy.ge
დეპარტამენტის უფროსი **+ (995 32) 2 99 11 16**

საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი

ნინო მურჯიკიშვილი murjikn@economy.ge
დეპარტამენტის უფროსი **+ (995 32) 2 99 11 12**

ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტი

ია ჯანაშია janashia@economy.ge
დეპარტამენტის უფროსი

4. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოქმედი დებულებით განსაზღვრული სამინისტროს საქმიანობის სფეროს და ამოცანების აღწერა და სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია:

მთავარი	სამინისტრო	ტენდერები	სიახლეები	კანონმდებლობა	დაიჯესტი	დეპარტამენტი
სამინისტროს შესახებ		ადმინისტრაცია				

სამინისტროს შესახებ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მისიაა ქვეყნის ეკონომიკის მაღალი ზრდის ტენდენსიის და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

ქვეყნის მონავალი განვითარების ძირითადი დებულებები და მიმართულებები განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის სამოქმედო პროგრამაში "ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე", ხოლო პროგრამის შესრულებისათვის საჭირო შედეგებზე ორიენტირებული კონკრეტული ღონისძიებები გაწერილია საქართველოს მთავრობის საშუალოვადიან სტრატეგიულ დოკუმენტში - "ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2010-2013 წლებისათვის" და შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში.

საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მიზანია მდგრადი ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც დაფუძნებული იქნება სტაბილურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაზე და კერძო მეწარმეობის განვითარებაზე. ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს თანმიმდევრულ სტრუქტურულ და ინსტიტუტურ რეფორმებს, რომელთა მიზანია მეწარმეობისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნა.

შესაბამისად, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები მიმართულია:

- სამეწარმეო საქმიანობის ლიბერალიზაციის, კერძო მეწარმეობისათვის ხელშეწყობი გააძვირებულ და სტაბილური საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და სტაბილური და მიზიდვითი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისკენ;
- აქტიური პრივატიზაციის პროცესის განხორციელებისა და ძლიერი კერძო სექტორის შექმნის ხელშეწყობისკენ;
- ბაზარზე გაანალიზებული კონკურენციის ხელშეწყობისა და ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნისკენ;
- ტურიზმული, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობისკენ;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების ლიბერალიზაციისა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარების ხელშეწყობისკენ;
- საქართველოს რეგიონებისა და პოსტკონფლიქტური ტერიტორიების რეაბილიტაციისა და ეკონომიკური განვითარებისკენ.

აღნიშნული რეფორმების წარმატებით განხორციელება შედეგად გამოიღებს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სტაბილურ ზრდას, კერძო სექტორში ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და სიღარიბის დონის შემცირებას, რაც ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დარქარებისა და ევროპულანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების მნიშვნელოვან წინაპირობებს წარმოადგენს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და თავის საქმიანობაში ეყრდნობა გააძვირებლობის და ანგარიშვალდებულობის პრინციპებს.

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

5. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა (განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებული ბმული სათაურად „სტრუქტურა“ არ მუშაობს):

მთავარი კონტაქტი სტრუქტურა	საიტის დახმარება ფუნქციონალურობა RSS სიახლეები ა-ჰ სარჩევი	მოხმარების წესები ხშირად დასმული კითხვები საქართველოს მთავრობა პრეს ცენტრი	დეპარტამენტების მიხედვით 	საკონტაქტო ინფორმაცია
---	---	---	--	---

საიტის რუკა

- განყოფილებაში „დეპარტამენტები“ არ მოიძიება სამინისტროს შემდეგ სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების ფოტოსურათები:
 - ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი;
 - იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი;
 - ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) ხელმძღვანელის ფოტოსურათი;
 - მდგრადი განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი;
 - ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი;
 - საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი;
 - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი;
 - სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი;
 - ქსელებისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ფოტოსურათი;

დეპარტამენტები

1 პრივატიზების დეპარტამენტი

2 ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი

3 კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი

4 ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი

5 საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი

6 იურიდიული დეპარტამენტი

7 ადმინისტრაცია

8 საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

9 ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტი

10 მდგრადი განვითარების დეპარტამენტი

11 საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი

12 შიდა აუდიტის დეპარტამენტი

13 ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

14 სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტი

15 უსელენისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი

16 კორდინაციის სამსახური

- განყოფილებაში „დეპარტამენტები“ არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა და რიგ დეპარტამენტების ხელმძღვანელთა ბიოგრაფიული მონაცემები. ამასთან, ინფორმაციის ისეთი ერთობლიობა, როგორცაა სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო რეკვიზიტები სასურველია წარმოდგენილი იყოს ვებ-გვერდზე წარმოდგენილ სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა უკლებლივ ყველა თანამშრომელთა მაგალითზე:

ხელმძღვანელობა



ბეგლარ კაპანაძე

დეპარტამენტის უფროსი

✉ bkapanadze@economy.ge

☎ +(995 32) 2 99 10 75

თორნიკე შანიძე

უფროსის მოადგილე

✉ tshaidze@economy.ge

☎ +(995 32) 2 99 11 70

ზაზა ედიშერაშვილი

სამმართველოს უფროსი

✉ z.edisherashvili@economy.ge

☎ +(995 32) 2 99 11 66

ქეთევან ტყეშელაშვილი

განყოფილების უფროსი

✉ geninspection@economy.ge

☎ +(995 32) 2 99 11 61

- არ მოიძიება უშუალოდ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

6. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ინფორმაცია სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების მე-8 მუხლის თანახმად მინისტრი თავისი ბრძანებით ქმნის სათათბირო ორგანოს – კოლეგიას და უფლებამოსილია თავისი ბრძანებით შექმნას სხვა სათათბირო ორგანოები. შესაბამისად სასურველია ვებ-გვერდზე შესაქმნელ განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში მოიძიებოდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სამინისტროში მოქმედი სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- სამინისტროში მოქმედი სათათბირო ორგანოების სტრუქტურა და შემადგენლობა;
- სამინისტროში მოქმედი სათათბირო ორგანოების სხდომების ოქმები და აგრეთვე სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობები.

➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

8. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული რიგი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზებისა, კერძოდ: ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ტენდერების (განყოფილება „ტენდერები“ ცარიელია) და ვაკანსიათა არქივი, პროექტები და პროგრამები (ბმული „სამინისტროს პროგრამები“ ცარიელია), გეგმები და პროგნოზები, სამინისტროს საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები და ა.შ. :



9. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი.

➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

10. სასურველია სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში - „სამინისტროს პროგრამები“, განთავსდეს იმ სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთ, შემსრულებელ ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. მოცემული განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ (ყოველწლიურ) მოხსენებებს.





11. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „სამინისტროს პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. აგრეთვე სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო.

12. სასურველია ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „გეგმები“, სადაც განთავსდებოდა სამინისტროს მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და მომზადებული პროგნოზები.

13. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

14. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს საქმიანობის ერთიანი ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია სასურველია განთავსდეს ვებ-გვერდზე შესაქმნელ (ქვე-)განყოფილებაში „წლიური ანგარიში“.

15. ვებ-გვერდზე მოყვანილი უმეტესობა უახლესი სტატისტიკური მონაცემებისა თარიღდება 2009 წლით ანუ სახეზე არ არის მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლები 2010 და 2011 წლების მდგომარეობით:



➤ სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

16. განყოფილებაში „კანონმდებლობა“ მოყვანილი უკლებლივ ყველა საკანონმდებლო აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით:

მთავარი	სამინისტრო	ტენდერები	სიახლეები	კანონმდებლობა	დაიჯესტი	დეპარტამ
კანონმდებლობა						
• მინისტრის ბრძანება №1-1/251 "საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ" • საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ • საერთაშორისო კოდეზის საბჭოს კოდეზი, რომლებიც დარეგისტრირებულია საქართველოს სტანდარტად • საქართველოს სტანდარტებად დარეგისტრირებული დოკუმენტები • სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტის სტანდარტების საქართველოს სტანდარტად შემოღების შესახებ • საქართველოს მთავრობის დადგენილება № 355 - საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების დამტკიცების შესახებ • საქართველოს ეროვნულ სტანდარტად დარეგისტრირებული სამშენებლო ნორმების და წესების ჩამონათვალი • მინისტრის ბრძანება N 1-1/1839 - „საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ“ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის 2001 წლის 5 თებერვლის № 3/26 ბრძანებ • საქართველოს მთავრობის დადგენილება №77 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ • მინისტრის ბრძანება N 1-1/2935 - ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ • მინისტრის ბრძანება N 1-1/1254 - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე • მინისტრის ბრძანება N 1-1/320-საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ • საერთაშორისო სამშენებლო კოდი თავები -1-6 • სამშენებლო ნორმები და წესები - "ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები" (პე 03.01-09) • სამშენებლო ნორმები და წესები - "წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები" (მწ						

ამავე ქვე-განყოფილებაში სასურველია მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტები:

საქართველოს კონსტიტუცია;

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების და ტერიტორიული ორგანოების დებულებები;

მინისტრის მოადგილეთა უფლებამოსილებათა განმსაზღვრელი მინისტრის ბრძანება.

სამინისტროს დებულება მოცემულია ძველი მდგომარეობით. აღნიშნული აქტი სასურველია განთავსდეს განყოფილებაში „სამინისტრო“ შესაქმნელ განცალკევებულ ქვე-განყოფილებაში სათაურად - „სამინისტროს დებულება“.


- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. სამინისტროს ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, ინსტიტუტმა პარლამენტიდან გამოითხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის წლიური ანგარიში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/ekonomika0001.pdf).*

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

18. ვებ-გვერდზე არსებობს ცარიელ განყოფილებაში „ტენდერები“ სასურველია განთავსდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ განხორციელებული

სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (არქივი):



(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრული ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/7_shesvidvebi0001.pdf).

ამასთან, ბმულში სათაურად „ანონსები“ მოყვანილია ერთადერთი ძალზედ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შესახებ:

ანონსები

პრივატიზების დეპარტამენტი აუქციონი - სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით

გამოქვეყნებულია 2011 სექტემბერი 13

სახელმწიფო ქონების გასხვისების მიზნით აუქციონი გაიმართება:


19. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

➤ საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

20. სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები“, რომელშიც მოყვანილი იქნებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული

საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

ამასთან, განყოფილებაში „მთავარი“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კონკურსი“ მოყვანილია სამინისტროში პრაქტიკის გავლის შესახებ ერთადერთი განცხადება:



➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროსათვის ყოველწლიურად გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/სამინისტროს კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე); *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/ekonomika_xelfasi0001.pdf

აგრეთვე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსათვის მიმართული განცხადებით მოითხოვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და 40-ე მუხლების საფუძველზე საჯარო ინფორმაცია: სამინისტროს თანამშრომლების სია და ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრისა და სამინისტროს თანამშრომლების ხელფასებსა და პრემიებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2008 წელს დახარჯული თანხების შესახებ, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/ekonomika_nawili_2.pdf;

- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;
- არ მოიძიება საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სამინისტროსათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ ინფორმაცია. (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2009-2010 წლებში გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/b_sarezervo_pondebi0001.pdf).

სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს განცალკევებული განყოფილება ან ბანერი „სახელმწიფო ბიუჯეტი“, სადაც განთავსდებოდა ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია, ვინაიდან განყოფილებაში „დაიჯესტი“ არსებული ქვე-განყოფილება „სახელმწიფო ბიუჯეტი“ მომხმარებლისათვის საკმაოდ რთულად საპოვნელია:

სახელმწიფო ბიუჯეტი

30-08-2011

სახელმწიფო ბიუჯეტი

2011 წლის 29 აგვისტოსთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის 8 თვის შემოსულობებმა 4496,92 მლნ. ლარი შეადგინა

29-08-2011

სახელმწიფო ბიუჯეტი

2011 წლის 29 აგვისტოსთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის 8 თვის შემოსულობებმა 4496,92 მლნ. ლარი შეადგინა

25-07-2011

ნაერთი ბიუჯეტი

06-06-2011

სახელმწიფო ბიუჯეტი


19-02-2010

2010 წლის პირველი კვარტლის შემოსულობების საპროგნოზო მარცენა მხარე 1581,04 მილიონი ლარით განისაზღვრა,

10-02-2010


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 609,55 მილიონი ლარი შეადგინა

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ მიება

სასურველია მიებაში ავტომატურად იყოს განსაზღვრული ქართული ფონტი და მომხმარებელს არ უწევდეს მისი გადართვა მართვის პანელიდან:

საიტის რუკა მთავარი | კონტაქტი

მიება სამინისტრო

ენობრივი არჩევანი: English

მიების ზოგიერთი შედეგის სრულყოფილი ნახვა ფაქტიურად შეუძლებელია:

იურიდიული დეპარტამენტი:

იურიდიული დეპარტამენტის ფუნქციების სამინისტროს კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმის შემუშავების ორგანიზება და, შესაბამისად, გეგმით გათვალისწინებული საკითხების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გადაწყვეტის კოორდინაცია; თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ, უშუალოდ სამინისტროს სტრუქტურული ...

მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტი წინადადებების მომზადება სახელმწიფო ქონების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით გადაცემისა და განკარგვის შესახებ; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა (გარდა საწარმოებში არსებული სახელმწიფო ...

პრივატიზების დეპარტამენტი:

პრივატიზების დეპარტამენტის ვებ გვერდი: <http://www.privatization.ge/> პრივატიზების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებები: წინადადებების მომზადება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პრივატიზების ფორმებისა და დადგენილი წესის შესაბამისად სახელმწიფო ქონების (მათ შორის, აქციებისა და წილების) პრივატიზების შესახებ; წინადადებების მომზადება სახელმწიფო ...

რადგან მას არც ღილაკი („იხილეთ სრულად“) და არც სათაური არ აქვს. ყველა მიების შედეგს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ღილაკი შედეგების სრულად სანახავად;

მიების მოდული შეცდომებით მუშაობს. მაგალითად თუ ინფორმაციას ვეძებთ „სამინისტროებში“ რაც მითითებული მიების მოდულშივე, ინფორმაცია საკონტაქტო გვერდიდან მაინც გამოდის:

დღევანდელი საოპერაციო სერვისები | საიტის რუკა | მთავარი | კონტაქტი

 **საქართველოს**
ჯანმრთელობისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ძეგნა სამინისტრო მიმღები

მთავარი | სამინისტრო | ტენდერები | სიახლეები | კანონმდებლობა | დაჯგუფება | დეპარტამენტები | ბმულები | კონტაქტი

ძეგნის შედეგები: "მინისტრი"

საკონტაქტო ინფორმაცია
სამინისტრო: ვერა ქობალაძე
✉ ministry@economy.ge
☎ + (995 32) 99 10 11
☎ + (995 32) 93 28 46

საკონტაქტო ინფორმაცია
სამინისტრო: არჩილ კეკელიძე
✉ archil.kakelia@economy.ge
☎ + (995 32) 99 11 34
☎ + (995 32) 99 10 30
☎ + (995 32) 92 02 20

საკონტაქტო ინფორმაცია
სამინისტრო: გიორგი კარბელაშვილი
✉ karbelashvili@economy.ge
☎ + (995 32) 99 10 82

საკონტაქტო ინფორმაცია
სამინისტრო: დავით გიორგაძე
✉ dgiorgadze@economy.ge

დახარისხება:

- სამინისტრო (175)
- პრივატიზაციის დეპარტამენტი (22)
- იურიდიული დეპარტამენტი (27)
- ადმინისტრაცია (25)
- (27)
- შიდა აუდიტის დეპარტამენტი (31)
- სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის დეპარტამენტი (121)
- ქსელებისა და ტექნოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი (122)
- ტურიზმი (13)
- ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტი (19)
- კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დეპარტამენტი (20)
- ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი (21)
- (22)
- საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტი (23)

თუმცა თუ დააკვირდებით, საკონტაქტო გვერდი ცალკე კატეგორიაა - ეს აშკარად არასწორი ალგორითმის პრობლემაა;

ვებ-გვერდის ინგლისური ვერსიის, ძიების მოდულის გამოყენების შემდეგ მომხმარებელი აღმოჩნდება ქართულ ვერსიაში:

Site map | Main | Contacts

Search Ministry Search

Language version ქართული

ION | DIGEST | DEPARTMENTS | LINKS | CONTACTS

All Departments

- 1 Privatization department.
- 2 Economic Analysis and Policy
- 3 Communications, Informational Technologies and Innovation
- 4 Urbanization and Construction

მიზეზი არის არასწორი ალგორითმი (კონკრეტულად: ვებ-გვერდი ვერ ინარჩუნებს „ენის“ განმსაზღვრელ ცვლადს);

➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები


ვებ-გვერდის დეპარტამენტების განყოფილებაში შესვლისას, მთავარი ინფორმაცია გვხვდება მარცხენა მხარეს, 1/3 ნაწილში, რასაც მომხმარებელი ავტომატურად იღებს როგორც არაპრიორიტეტულ ინფორმაციას. ვებ-გვერდის ნავიგაციის დროს, მომხმარებელი პრიორიტეტს ყოველთვის ანიჭებს მონიტორის შუა ნაწილს და პირველ რიგში თავისთვის სასარგებლო ინფორმაციას ეძებს ზუსტად ამ არეალში. რასაც ვერ ვიტყვით დეპარტამენტების ჩამონათვალზე, ამ სურათზე პრიორიტეტი აშკარად სიახლეებს უჭირავთ:

The screenshot shows a website interface with a dark navigation bar at the top containing links: მთავარი, სამინისტრო, ტენდერები, სიახლეები, კანონმდებლობა, დაიჯესტი, დეპარტამენტები, ბმულები, კონტაქტი. Below this, the left sidebar lists 14 departments under the heading 'დეპარტამენტები'. The main content area is titled 'სიახლეები' and displays a list of news articles under the sub-heading 'პრივატიზების დეპარტამენტი'. Each article includes a date and time, a title, and a brief description. For example, one article from 2011-08-17 discusses the privatization of the Georgian National Bank. Another article from 2011-05-13 mentions the USAID program for the privatization of the Georgian National Bank. The interface is in Georgian and uses a clean, professional layout.

სასურველია საკონტაქტო გვერდში შესვლისას ნაცვლად „თქვენი წერილი“-სა ეწეროს „კონტაქტი“ ან „საკონტაქტო ფორმა“:

ინფორმაცია როგორც ჩანს საკმაოდ დიდია და მოიცავს რამოდენიმე გვერდს, თუმცა გაურკვეველია ის ფაქტი, თუ რატო ჩანს გვერდზე მხოლოდ ერთი ინფორმაცია, როდესაც შესაძლებელია გამოჩნდეს 5, 8,10 ან თუნდაც 20.

გარდა ამ ხარვეზისა, არსებობს სხვა ხარვეზებიც:



პირველი გვერდის გარდა ინფორმაცია სხვა გვერდებზე ვერ იძებნება;

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ფორმა არ ფუნქციონირებს:

ლილაკ „SEND“-ზე დაჭერით მომხმარებელი გადადის შემდეგ გვერდზე:


Not Found

The requested URL /aaa was not found on this server.


Additionally, a 404 Not Found error was encountered while trying to use an ErrorDocument to handle the request.

➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა

სხვადასხვა გვერდებზე ნავიგაციის მოდული არაპრაქტიკულია. თუ მომხმარებელს სურს, 120-ე გვერდიდან დაბრუნება პირველ გვერდზე, ამას მხოლოდ დიდი შრომისა და დროის ხარჯზე შესძლებს რადგან არ არსებობს პირდაპირ პირველ ან ბოლო გვერდზე გადასასვლელი ლილაკები:




არასწორი ალგორითმის გამო ვებ-გვერდზე შეიმჩნევა შეცდომები, მათ შორის შემდეგი:




ამ შემთხვევაში, - 27 - ინფორმაციის რაოდენობის ერთეულია, თუმცა თავად ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი;

➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი


ბრაუზერ “Internet Explorer”-ში, ასარჩევი სიები არ ჩანს სრულად:




ლილაკი „მეტი სიახლე“ არ ფუნქციონირებს:




ამ ღილაკებიდან ფუნქციონირებს მხოლოდ RSS-ის ღილაკი:



თუ დააკვირდებით ვებ-გვერდის ლოგო ოდნავ ბუნდოვანია. მიზეზი არის ის, რომ იგი არ ზის მის ორიგინალ ზომებში:



ერთ-ერთი ხარვეზი ვებ-გვერდის მარჯვენა ქვედა მხარეს:



სიახლეების სიმეტრია დარღვეულია:



გამოქვეყნებულია 2011 სექტემბერი 26

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია ლიტვის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრს ელიგიუს მასიულისს შეხვდა.



ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი სემინარი - "ევროკოდების დანერგვა საქართველოში"

გამოქვეყნებულია 2011 სექტემბერი 26

ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტის და ევროკომისიის ტექნიკური მხარდაჭერის საინფორმაციო გაცვლითი პროგრამის (TAIEX) ორგანიზებით

სამინისტრო ბულგარეთის ბიზნესდელეგაციის ვიზიტი საქართველოში

გამოქვეყნებულია 2011 სექტემბერი 20

ბათუმში საქართველო-ბულგარეთის ბიზნესფორუმში გაიხსნა.



ტურიზმი მინისტრმა "ტურიზმის კარიერის კვირეული" გახსნა

გამოქვეყნებულია 2011 სექტემბერი 19

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ და ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ მაია სიღამონიძემ "კარიერის კვირეული" გახსნეს.



სამინისტრო ხელი მოეწერა შეთანხმებას "სუფთა ენერგიის დანერგვის" განხორციელების თაობაზე

გამოქვეყნებულია 2011 სექტემბერი 12

შესყ
დეპა

12 შიდა

13 ადამ
მარი

14 სახე
პოლ

15 ქსელ
უზრ

16 კორი

სიახ

აირჩიე
სამინ

აირჩიე
დან

ბოლო კ
ბოლო მ
ბოლო წ

მე

ვებ-გვერდს მთავარ გვერდზე არ იტვირთება სტატისტიკა:

პარტამენტები

ივანეშვილის დეპარტამენტი

ანტონიშვილის დეპარტამენტი

პროგნოზირების, ინფორმაციის, კომუნიკაციებისა და ორგანიზაციის დეპარტამენტი

ინფორმაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი

კარგო ვაჭრობისა და ერთაშორისო ეკონომიკური თიერათონების პარტამენტი

რიდული დეპარტამენტი

მინისტრაცია

ნოვადონისთან თიერათონის დეპარტამენტი

ანსპორტის პოლიტიკის პარტამენტი

გრადი განვითარების პარტამენტი

ფინანსო, სახელმწიფო აყიდვებისა და ლოჯისტიკის პარტამენტი

და აუდიტის დეპარტამენტი

ანინური რესურსების რთვის დეპარტამენტი

ბელმწიფო ქონების მართვის ლიტვის დეპარტამენტი

ქლებისა და ტექნოლოგიური რუგვეყვის დეპარტამენტი

რდინაციის სამსახური

ათ ყველა დეპარტამენტი

რიზმი

პრივატიზების დეპარტამენტი

შესახებ

პრივატიზების დეპარტამენტის ვებ გვერდი: <http://www.privatization.ge>

პრივატიზების დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები და უფლებამოსილებებია:წინადადებების მომზადება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პრივატიზების ფორმებისა და დადგენილი წესის შესაბამისად სახელმწიფო ქონების ...

სტატისტიკა

BEVERAGES TRADE FAIR

25-26 November, Tbilisi

➤ **უსაფრთხოება**


ვებ-გვერდის „საქალადეები“ არ არის დაცული და ღიაა:

Index of /images/news/original


	Name	Last modified	Size	De
	Parent Directory	-		
	áf•áf"áf áf(00)790.jpg	22-Mar-2011 14:33	22K	
	áfTMáf(00)áfceáfTMáfŁáf áfjáf86.jpg	13-Aug-2009 17:29	31K	
	áfáf"áfĐáf•áf"áf"áf"áf(00)-áf"áfjáfŁáf(00)áfceáf"áfš-áf"áf"áf-áfceáf"áfjáf>áf"áfceáf"áf"áf-áf(00)áfce281.jpg	09-Feb-2010 15:07	14K	
	aa265.jpg	29-Nov-2010 15:33	18K	
	abesalom631.jpg	29-Nov-2010 15:45	18K	
	abesalom645.jpg	29-Nov-2010 15:45	18K	
	abesalom646.jpg	29-Nov-2010 15:45	18K	
	abzadze248.jpg	29-Nov-2010 15:45	12K	
	abzadze249.jpg	29-Nov-2010 15:45	12K	
	adada257.jpg	29-Nov-2010 15:45	15K	
	adpi369.jpg	29-Nov-2010 15:45	17K	
	adpi370.jpg	29-Nov-2010 15:45	17K	
	adpi371.jpg	29-Nov-2010 15:45	17K	
	adpi372.jpg	29-Nov-2010 15:45	17K	
	aeroport878.jpg	10-Jun-2011 12:25	24K	
	aeroporti155.jpg	29-Nov-2010 15:45	24K	
	aeroporti873.jpg	09-Jun-2011 18:30	25K	
	agreement-of-investment-protection-and-promotion-between-estonia-and-georgiaâ€229.jpg	29-Nov-2010 15:45	16K	
	agreement-of-investment-protection-and-promotion-between-estonia-and-georgiaâ€230.jpg	29-Nov-2010 15:45	16K	
	agreement-of-investment-protection229.jpg	29-Nov-2010 15:45	17K	
	agreement-of-investment-protection231.jpg	29-Nov-2010 15:45	16K	
	agreement-of-investment-protection232.jpg	29-Nov-2010 15:53	17K	
	agreement-of-investment-protection233.jpg	29-Nov-2010 15:53	17K	

ისინი დახრული უნდა იყოს (ანუ მათზე მომხმარებელს შეზღუდული უნდა ჰქონდეს წვდომა) „HTACCESS“-ის საშუალებით;

ვებ-გვერდს როგორც ხედავთ უამრავი ფუნქცია აქვს, თუმცა მათი უსაფრთხოდ შესრულებისთვის საჭიროა HTTPS პროტოკოლით მუშაობა (https პროტოკოლი არის დაცული პროტოკოლი), რომელიც ვებ-გვერდს არ გააჩნია:



ვებ-გვერდს აქვს პრობლემები უსაფრთხოების კუთხით. ნებისმიერ პროგრამისტს აქვს საშუალება ვებ-გვერდში ჩატვირთოს არასწორი ინფორმაცია და ამით სხვისი მანიპულირება მოახდინოს:



(ყურადღება: ეს მეთოდი არ აზიანებს პორტალს)


ჩვენ სპეციალურად არ დავწერთ სად არის ვებ-გვერდზე ხარვეზი, თუმცა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ოფიციალურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით სრულ ინფორმაციას;

➤ დამატებითი პარამეტრები


ვებ-გვერდის ერთი ბანერი საკმაოდ უხარისხოდ გამოიყურება:



ვებ-გვერდის დაბლა წერია SEO BY ... რაც ნიშნავს საძიებო სისტემებში გვერდის ოპტიმიზაციას (Search Engine Optimization):



საძიებო სისტემებისთვის ოპტიმიზაციისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა Friendly URL-ს, ვებ-გვერდის სათაურის (Title) და ვებ-გვერდის ვრცელი აღწერის (Meta Description)-ის გაკეთება ყველა გვერდისთვის ცალ-ცალკე, თუმცა ამ გვერდზე:




არც „Friendly url“ გვხვდება, არც „Title“-ი, ხოლო „Meta Description“-ი იგივე აქვს რაც ყველა გვერდს:

```
<!DOCTYPE html PUBLIC "-//W3C//DTD XHTML 1.0 Strict//EN" "http://www.w3.org/TR/
<meta name="description" content="საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო" />
```

შესაბამისად აქ „SEO“-ზე ლაპარაკი ზედმეტია. სხვა გვერდებზე SEO -ს მცირე დეტალები არსებობს, თუმცა სრულყოფილად არც-ერთ გვერდზე არ არის წაქრმოდგენილი;

გაუგებარია ამ სივრცის დანიშნულება:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი ერთი შეხედვით ხარისხიანი ჩანს, თუმცა ღრმა ანალიზის შემდეგ იკვეთება რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები. მასზე საკმაოდ ბევრი ფუნქციაა თავმოყრილი, თუმცა ზოგიერთი მათგანი საერთოდ არ მუშაობს, ზოგიერთი კი გაუმართავია. მაგალითად საკონტაქტო ფორმა საერთოდ არ მუშაობს, პირველი გვერდის დეპარტამენტის განყოფილების სტატისტიკური მონაცემები არ იტვირთება, მიების მოდული ხარვეზებით მუშაობს და სხვა კიდევ უამრავი მოდული ან არასწორად არის დაპროექტებული ან ლოგიკური შეცდომებით არის წარმოდგენილი.